N 35 / 07.12.2015

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

მოგმართავთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 05 ნოემბრის N670/10 გადაწყვეტილების საფუძველზე, სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვების მიზნით.

იურიდიული პირისთვის საფირმო სახელწოდება	სამოქალაქო აქტივობების ცენტრი
სამართლებრივი ფორმა	ააიპ
იურიდიული მისამართი	ქალაქი გურჯაანი, იოსებ ნონეშვილის ქუჩა N1
მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, სახეობა რომლის მიღებასაც ითხოვს ლიცენზიის მაძიებელი	რადიომაუწყებლობა სათემო მაუწყებლობა
მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა	პანკისის ხეობა (ახმეტის მუნიციპალიტეტი)
მაუწყებლობის ენა / ენები	ქართული, ჩეჩნური
მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე – ღამის განმავლობაში	18 საათი

<u>წერილს თან ერთვის დალუქული კონვერტით</u>

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; წესდება;
2. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
3. შესაბამისობის დეკლარაცია;
4. ქონებრივი დეკლარაციის ფორმა; ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ;
5. ინფორმაცია პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადის შესახებ;
6. დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ;
7. დოკუმენტი პროგრამების გავრცელებისთვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;
8. სამაუწყებლო კონცეფცია;
9. სალიცენზიო გადასახდელის 10%–ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
10. რწმუნებულება;

პატივისცემით,

გელა მთივლიშვილი

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის პროექტების მენეჯერი

CCA CENTRE FOR CIVIL ACTIVITIES 427716625

ჯ-11/9598-15
07 12 15
1+1 ერთეული
16:41 სთ.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15148052, 23/07/2015 23:58:27

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სამოქალაქო აქტივობების ცენტრი
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	427716625
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	14/02/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. გურჯაანი, იოსებ ნონეშვილის ქუჩა, №1
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	ngo.cca.office@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- გამგეობა

  თავმჯდომარე/წევრი: 13001016677, პაატა ჩახვაშვილი

  წევრი: 08001038418, ისლამი გორგიშვილი

  წევრი: 08101038676, ეთერი ფანგანი

  წევრი: 08001030668, სულხანი ბორძიკაშვილი

  წევრი: 08001002990, გელა შაშიაშვილი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გამგეობის თავმჯდომარე - 13001016677, პაატა ჩახვაშვილი ,კავშირის თავმჯდომარე
- აღმასრულებელი დირექტორი - 08101038676, ეთერი ფანგანი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

N	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის, აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ												
	საწესდებო კაპიტალის წარმოშობის შესახებ				აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ								
					კომპანიის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი აქტივები			პარტნიორის ან აქციონერის მიერ წილობრივი მონაწილეობის სახით შემოტანილი აქტივები			უსასყიდლოდ ან/და გრანტით მიღებული აქტივები		
	საწესდებო კაპიტალში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების ჩამონათვალი	საწესდებო კაპიტალში შენატანი (ლარებში)	საწესდებო კაპიტალში შენატანის წილი (%-ში)	საწესდებო კაპიტალში წილის შეტანის თარიღი	დასახე-ლება	შეძენის თარიღი	შეძენის ღირებუ-ლება	დასახე-ლება	გადაცემის თარიღი	ღირებუ-ლება	დასახელება	გადაცემის თარიღი	ღირებულება
	0	0	0	0	კომპიუტერი	23.03.2012	1600	0	0	0	0	0	0
	0	0	0	0	ფოტოაპარატი	23.03.2012	1303	0	0	0	0	0	0
	0	0	0	0	კომპიუტერი	26.03.2012	1312	0	0	0	0	0	0

CCA
CENTRE FOR CIVIL ACTIVITIES
#27716826

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაშვიდ აგვისტოს, მე, **ნუგზარ თვალმიხელაშვილს**, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. №14-ში, მომმართა ააიპ სამოქალაქო აქტივობების ცენტრის თავმჯდომარემ ბატონმა **პაატა ჩახვაშვილმა** (დაბადებული 23.11.1986 წელს, პირადი №13001016677), რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს რწმუნებულება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ **გელა მთივლიშვილს.** პირადობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წაიკითხა **პაატა ჩახვაშვილმა** და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაშვიდ აგვისტოს ააიპ სამოქალაქო აქტივობების ცენტრის თავმჯდომარემ **პაატა ჩახვაშვილმა** (დაბადებული 23.11.1986 წელს, პირადი №13001016677) რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი", **გელა მთივლიშვილს** (დაბადებული 09.07.1983, პირადი№13001008336, პასპორტის №07AE67053), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს; ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საგამოძიებო ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს. რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, ქონების მართვის სააგენტოში, საჯარო რეესტრის და სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, სააღსრულებო ბიუროში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.
2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა კითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, დაასრულოს საქმე მორიგებით. რწმუნებული ანიჭებს მარწმუნებელს სარჩელის ცნობის უფლებას და გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებას.
3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
4. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი და გასამჯელო მხარეთა შეთანხმებით.
5. დავალების შესასრულებლად მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გადაუხადოს გასამრჯელო, რომლის ოდენობა დგინდება მარწმუნებლისა და რწმუნებულის ურთიერთშეთანხმებით.
6. რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს კეთილსინდისიერად პირადად ან დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.
7. რწმუნებულება გაცემულია ორი წლის ვადით.
8. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.
9. წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.
10. წინამდებარე რწმუნებულება მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ნუგზარ თვალმიხელაშვილმა. მარწმუნებელმა მოიწონა რწმუნებულება და ნოტარიუსის თანდასწრებით მას პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია სანოტარო სახღაური ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს №507 დადგენილების 31-ე მუხლისა და რეგისტრაციის საფასური ორი (2) ლარი თანახმად 39 მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი: _____ /ნუგზარ თვალმიხელაშვილი/

	შესაბამისობის დეკლარაცია	
1	ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	ააიპ **„სამოქალაქო აქტივობების ცენტრი"**; ს/კ: 427716625. იურიდიული მისამართი; საქართველო, ქ. გურჯაანი, იოსებ ნონეშვილის ქუჩა, №1 ფაქტობრივი მისამართი: ახმეტა, სოფელი დუისი.
2	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)	
3	მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ	პაატა ჩახვაშვილი, პ/ნ 13001016677; სამოქალაქო აქტივობების ცენტრის თავმჯდომარე; **წარმომადგენელი:** გელა მთივლიშვილი პ/ნ 13001008336
4	ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან: ა) ადმინისტრაციული ორგანო; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი; დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.	 უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი
5	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.	ააიპ-ის მმართველობის ორგანო **[გამგეობა]**: თავმჯდომარე/წევრი: 13001016677, პაატა ჩახვაშვილი; წევრი: 08001038418, ისლამი გორგიშვილი წევრი: 08101038676, ეთერი ფანგანი წევრი: 08001030668, სულხანი ბორძიკაშვილი წევრი: 08001002990, გელა შაშიაშვილი

ტექნიკა, მოდელი, სპეციფიკაცია

FM რადიოგადამცემი
ანტენები, დიპოლი, ვერტ.
კაბელი, კონექტორები, 12-24მ, 1/2
დეკოდერი/ენკოდერი
ტვირთის ბაჟი, ტრანსპორტირება
სარელეო სისტემა 5GHZ
სამონტაჟო მასალა (დამჭერები, კონექტორები)
უწყვეტი კვების წყარო, UPS
აკუმულატორი
კომპიუტერი, დროებითი მომხმარების
მონიტორი, 11", 13"

სტუდია

მიქშერი, OnAIR [Cross-სადგამი, ფილტრი]
მიქშერი, Production
მართებლები და აქსესუარები [სტუდია/რეპორტაჟი]
მიკროფონის კომპლექტი, სტუდიისთვის
მიკროფონის კომპლექტი, რედაქტირებისთის
მიკროფონის კომპლექტი, რეპორტაჟი, 2ც
დიქტოფონები, რეპორტაჟი
მიკროფონის დამჭერები, მაგიდის სადგამი
ავეჯი [სტუდიური მაგიდა, სკამები, განათება]
ტვირთის ბაჟი, ტრანსპორტირება
კომპიურტერი სტუდიის
კომპიუტერი [რედაქტორი, გადაცემები]

CCA
CENTRE FOR CIVIL ACTIVITIES
42771625

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 169

GEL

GEL

141.75

თანხა სიტყვიერად

ას ორმოცდაერთი *GEL* და *75*

თარიღი: 2015 წლის 07 12, ორშაბათი

გადამხდელის დასახელება: ააიპ "სამოქალაქო აქტივობების ცენტრი"

ანგარიში (დებეტი): GE35LB0115195065049000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ააიპ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 427716625

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.12.2015

მიმღების დასახელება: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საიდენტიფიკაციო კოდი:

ანგარიში (კრედიტი): GE11TB0600000000609326

მიმღების ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

გადახდის დანიშნულება: სალიცენზიო გადასახადის 10 %

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
მუსიკალებული ინტერნეტ ბანკი
ბანკის მომავლობა

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 168

თარიღი: 2015 წლის 07 12, ორშაბათი

გადამხდელის დასახელება:	ააიპ "სამოქალაქო აქტივობების ცენტრი"
ანგარიში (დებეტი):	GE35LB0115195065049000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	ააიპ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:	427716625
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	100503062
მიმღების დასახელება:	ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	200122900
მიმღების ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	სალიცენზიო მოსაკრებელი

ხელმოწერა: _____

_____

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

2000.00

თანხა სიტყვიერად

ორი ათასი *GEL* და *00*

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.12.2015

ხელმოწერა: _____

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

N 37 / 07.12.2015

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 05 ნოემბრის N670/10 გადაწყვეტილების საფუძველზე, სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ რადიო WAY პრაქტიკულ საქმიანობას დაიწყებს სამაუწყებლო ლიცენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 6 თვეში.

პატივისცემით,

გელა მთივლიშვილი

წარმომადგენელი

N 36 / 07.12.2015

ცნობა

ააიპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ ბალანსზე არსებული აქტივების (ქონების) ღირებულებითი თანხა შეადგენს 4215 ლარს. პასივების პუნქტში მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები არ ერიცხება;

იხილეთ, დანართი 1 ფურცლად

ეთერ ფანგანი

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

საცდელი ბალანსი

თარიღი 1.01.2014 აარა სამოქალაქო აქტივობების ცენტრი

პროექტი: მთ.წიგნი

ვალუტა: ნაერთი

აქტივები	ნაერთი	კაპიტალი და ვალდებულებები	ნაერთი
მიმდინარე აქტივები		*საკუთარი კაპიტალი*	
1200 ფული საბანკო ანგარიშებზე	3.75	5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	4,218.75
სულ მიმდინარე აქტივები	3.75	სულ საკუთარი კაპიტალი	4,218.75
გრძელვადიანი აქტივები		*სულ კაპიტალი და ვალდებულებები*	4,218.75
2160 ოფისის ალჭურვილობა	4,215.00		
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,215.00		
სულ აქტივები	4,218.75		

რადიო WAY

დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ

სათემო რადიო WAY-ის ფუნქციონირებისათვის მსგავსი მასშტაბის კომერციულ რადიოზე ნაკლები სახსრები დასჭირდება, რადგანაც მას მთელი რიგი ხარჯების გაწევა არ მოუწევს.

საინფორმაციო ცენტრების ქსელთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე (ხელმოწერილია 2015 წლის 1–ელ დეკემბერს და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) რადიო WAY უსასყიდლოდ, სარგებლობაში მიიღებს ახალი ამბების განყოფილებისთვის და გადაცემების მოსამზადებლად საჭირო კომპიუტერულ ტექნიკას და რადიომაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს (რადიოგადამცემი, ანტენები, სარელეო სისტემა და სხვა);

NED–ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა პანკისის ხეობაში), რომელსაც ახორციელებს საინფორმაციო ცენტრების ქსელი და რომლის ბიუჯეტია $ 45 563 , ააიპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრთან“ თანამშრომლობით, რადიო WAY–ის გუნდი გადამზადდება მოწვეული მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ. ასევე, პროექტი აფინანსებს რადიო WAY–ის რედაქტორის და ტექნიკური მენეჯერის ხელფასს, საკომუნიკაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით 2016 წლის იანვარში რადიო WAY–ის ექნება გადაცემების წარმოებისთვის საჭირო რადიო საეთერო, აუდიო ჩამწერი და ვებ გვერდი.

სათემო რადიოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს:

- გრანტი;

- კომერციული რეკლამა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული;

- სპონსორობა, ასევე ეროვნული კანონმდებლობით რეგლამენტირებული;

- პირადი შემოწირულობები, რომელსაც თემის წევრები ლეგალურად გაიღებენ სათემო რადიოს განვითარებისთვის;

- თემის წევრების საწევრო გადასახადი;

გარდა ამისა, რადიო აქტიურად ჩაერთვება ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელურ პროექტებში;

რადიო WAY–ის შემოსავლების მიღებას დამატებითი წყაროების მეშვეობით აპირებს. მათ შორის არის მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე მოსახლეობის მიერ მოწოდებული ფასიანი განცხადებების განთავსება რადიო ეთერში და შესაბამისად, სათემო რადიოსადგურის ვებგვერდზეც. ფასიანი განცხადებების განთავსება – მილოცვა (ქორწილი, დაბადების დღე, ბანკეტი და სხვა), SMS-გათამაშებები, მუსიკალური მილოცვები, განცხადებები გაყიდვების შესახებ და სხვა; რადიო WAY-ის ვებგვერდზე სარეკლამო ბანერები.

მნიშვნელოვანია, რომ რადიო WAY-ის უკვე აქვს კარგი სამუშაო გარემო, ოფისი.

რადიო WAY–ის ჰყავს გამოცდილი და ენერგიული მენეჯერი (პანკისის ხეობის მკვიდრი), რომელსაც დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ჟურნალისტური მიმართულება, აქვს პრაქტიკული მუშაობის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამავე დროს, სამოქალაქო აქტივობების ცენტრის პროექტების მენეჯერს აქვს დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, არის პანკისის ხეობაში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ავტორი და დირექტორი.

სათემო რადიოს ჰყავს კარგი გუნდი (გაწვრთნილი მოქალაქე – რეპორტიორები) და ტექნიკური პერსონალი, რომელიც კარგად ერკვევა კომპიუტერულ და რადიოტექნიკაში. ისინი არიან პანკისის ხეობის მაცხოვრებლები.

CCA
42771625
CENTRE FOR CIVIL ACTIVITIES

სამოქალაქო აქტივობების ცენტრი

The Centre of Civil Activities

წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულება

1.1. სამოქალაქო აქტივობების ცენტრი არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად.
1.2. სამოქალაქო აქტივობების ცენტრის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა კავშირი. სამოქალაქო აქტივობების ცენტრი დაფუძნებულია 2011 წლის 10 თებერვალს.
1.3. სამოქალაქო აქტივობების ცენტრი თავის მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
1.4. სამოქალაქო აქტივობების ცენტრის ადგილსამყოფელია, საქართველო, გურჯაანი, რუსთაველის N 1.

მუხლი 2
კავშირის დამფუძნებლები

2.1. ლია ხუროშვილი - დაბადებული 15.12.1964. პროფესიით იურისტი. ადვოკატი. მის: გურჯაანი, შიო არაგვისპირელის N 2
2.2. მარინე ზარდიაშვილი - დაბადებული 01.05.1959. პროფესიით ჟურნალისტი. მის: გურჯაანი, თამარ მეფის 10.
2.3. ნათია დაწელიშვილი - დაბადებული - 22.04.1990. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი. მის: თელავი, ალაზნის გამზირი N 20
2.4. გელა მთივლიშვილი - დაბადებული 09.07.1983. პროფესიით - იურისტი. კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორი. მის: გურჯაანი, ჭანდარი. ბარნოვის 40.
2.5. შალვა გოგოლაშვილი - დაბადებული 25.12.1945. პროფესიით იურისტი. ადვოკატი. მის: გურჯაანი, ერეკლე II ქ. N 33

მუხლი 3
კავშირის მიზნები

- ადამიანის ღირსების, უფლებების და თავისუფლებების დაცვა;
- კანონის უზენაესობის განმტკიცება;
- საზოგადოებაში სამოქალაქო შეგნების ამაღლების ხელშეწყობა;
- მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად არასამთავრობო სექტორში აქტივისტების ჩართვა და აქტივობების გაზრდა;

- მრავალფეროვნების და საზოგადოების ტოლერანტობის დონის შენარჩუნება და განვითარება;
- ქვეყნის ბიუჯეტის მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა;
- საქართველოს გარემოსდაცვით საკითხებში მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში არასამთავრობო სექტორის როლის გაზრდა;
- არასამთავრობო სექტორის - როგორც ინსტიტუტის გაძლიერება, სადაც მოქალაქეები თავისუფლად გამოხატავენ და განახორციელებენ თავიანთ მიზნებს;
- გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა;

კავშირის საქმიანობის ფორმები

საწესდებო მიზნების მისაღწევად კავშირი:

- ეწევა ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას;
- ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ავრცელებს ინფორმაციას, ეწევა მონიტორინგს, დოკუმენტირებას და სამოქალაქო ადვოკატირებას;
- მოსახლეობას სთავაზობს იურიდიულ მომსახურებას;
- უზრუნველყოფს სასამართლო და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობას;
- ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ხელს უწყობს კანონის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას და ცოდნის გაზრდას;
- საქართველოს გარემოს, ბუნებრივი რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით თანამშრომლობს გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და მედია-საშუალებებთან;
- ინფორმაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობის მიზნით თანამშრომლობს მედია-საშუალებებთან;
- თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან;
- ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 4
წევრობა

4.1. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს დაინტერესებული პირი, რომელიც იზიარებს კავშირის მიზნებს;

4.2. კავშირის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს კავშირის თავმჯდომარეს. თავმჯდომარე წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადებით შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კავშირის ორი წევრის დადგენილი ფორმის წერილობითი რეკომენდაცია.

4.3. კავშირის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

4.5. კავშირის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

ან გარდაცვალებისას;

4.6. გამგეობის გადაწყვეტილებით კავშირის წევრი შეიძლება გაირიცხოს კავშირიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კავშირის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 5
წევრთა უფლება - მოვალეობები

5.1. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს კავშირის საერთო კრების მუშაობაში;

ბ) აარჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის მმართველობით ორგანოებში;

გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს კავშირის პროგრამებში;

დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან კავშირის საქმიანობის შესახებ;

ვ) კავშირის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს კავშირის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებით;

ზ) აცაროს კავშირის ემბლემა.

5.2. კავშირის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას კავშირის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს კავშირის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს კავშირის საქმიანობაში;

დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს კავშირის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

ე) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 6
საერთო კრება

6.1. კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ და ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მეორე წლის ბოლოს.

6.2. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/5 (ერთი მეხუთედი). საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.3. საერთო კრება:

ა) დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით იღებს კავშირის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში.

ბ) ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს.

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

გ) ისმენს კავშირის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ კავშირის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ე) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას კავშირის რეორგანიზაციის შესახებ;

ა) წევრთა ოთხი მეხუთედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;

6.4. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა კავშირის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან კავშირის წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

მუხლი 7
ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

7.1. კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს კავშირის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.

7.2. კავშირის სპეციალური წარმომადგენელია აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორი.

7.3. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და სპეციალური წარმომადგენელი კავშირის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი კავშირისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე სოლიდარულად.

მუხლი 8
გამგეობა

8.1. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოა 5 წევრისაგან შემდგარი კავშირის გამგეობა, რომლის წევრებსაც სამი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

8.2. *გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით.*

ა) გამგეობა, გამგეობის წევრთაგან ირჩევს კავშირის თავმჯდომარეს;

ბ) იწვევს და ატარებს საერთო კრებას. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს კავშირის წევრებს;

გ) კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;

დ) იძლევა თანხმობას აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნაზე;

ე) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს კავშირის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება კავშირის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ვ) ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

ზ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

თ) ამტკიცებს კავშირის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს, საერთო კრებისათვის წარსადგენად;

ი) ამტკიცებს კავშირის სტრატეგიული განვითარების გეგმას და საბიუჯეტო პარამეტრებს;

კ) წყვეტს კავშირის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

ლ) ადგენს კავშირის თანამშრომელთა სახელფასო ბადეს;

მ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს კავშირის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ნ) თავმჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
ო) ფარული კენჭისყრით, თანამდებობიდან გადააყენებს კავშირის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს;
პ) აფუძნებს კავშირის საწარმოებს და კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით წიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელღძვანელებს;
ჟ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას;
8.3. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლადარჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 9
თავმჯდომარე

9.1. კავშირის თავმჯდომარეს თავის წევრთაგან ორი წლის ვადით ირჩევს გამგეობა.
პირი კავშირის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.
თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს.
კავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი თავჯდომარის არჩევამდე.

9.2.თავმჯდომარე:
ა) წარმართავს კავშირის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
გ) წარმოადგენს კავშირს სხვა პირებთან ურთიერთობაში;
დ) წყვეტს კავშირის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს გამგეობის წევრებს;
ე) ზედამხედველობს კავშირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;
ვ) უძღვება კავშირის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მეირ დადგენილი წესით;
ზ) ხელს აწერს კავშირის ოფიციალურ დოკუმენტებს, გარდა ფინანსური დოკუმენტაციისა;
თ) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის ორგანიზაციულ სტრუქტურას;
ი) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს;
კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

9.3. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან კავშირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

9.5. კავშირის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში, ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას, დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.
9.6. კავშირის თავმჯდომარის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

მუხლი 10
აღმასრულებელი დირექტორი

10.1. აღმასრულებელ დირექტორს 3 წლის ვადით ნიშნავს თავმჯდომარე გამგეობის თანხმობით;
10.2. აღმასრულებელი დირექტორი:
ა) მოქმედებს კავშირის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ასევე გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულების ფარგლებში წარმოადგენს გამგეობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, გარდა თავმჯდომარის და გამგეობის უფლებამოსილებას განკუთვნილი საკითხებისა;
ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ ექვს თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს გამგეობას;
გ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს კავშირის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
დ) ამტკიცებს განსახორციელებელ პროექტებს;
ე) დებს ხელშეკრულებებს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, კავშირის სახელით;
ვ) თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტების კოორდინატორებს;
ზ) ნიშნავს და ათავისუფლებს კავშირის თანამშრომლებს;
10.3. აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის წესი განისაზღვრება გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით;
10.4. აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება რომელსაც ხელს აწერს კავშირის თავმჯდომარე.

მუხლი 11
კავშირის ქონება .

11.1. კავშირის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.
11.2. კავშირის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 12
კავშირის საქმიანობის შეწყვეტა

12.1. კავშირის საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:
ა) კავშირის საერთო კრების გადაწყვეტილებით;
ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში;
გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
12.2. კავშირის ლიკვიდაციას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი;

2.3. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კავშირის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე

კავშირის დამფუძნებლები:

ლია ხუროშვილი

მარინე ზარდიაშვილი

გელა მთივლიშვილი

შალვა გოგოლაშვილი

ნათია დანელიშვილი

გამგეობის წევრები

ლია ხუროშვილი

მარინე ზარდიაშვილი

გელა მთივლიშვილი

შალვა გოგოლაშვილი

ნათია დანელიშვილი

14. თებერვალი 11.ნ.

სათემო რადიო WAY

სამაუწყებლო კონცეფცია
და საეთერო ბადე

(დაგეგმილი მაუწყებლობა დღე-ღამის განმავლობაში:

18 საათი, 07:00 საათიდან 01:00 საათამდე)

თემის წევრები ავრცელებენ სათემო სიახლეებს, რომელსაც აწვდიან თემის სხვა წევრებს და ამით აძლიერებენ თემს – ეს არის თანამედროვე სათემო მაუწყებლობის მთავარი პრინციპი.

- **თემისა და სათემო რადიოს შესახებ**

პანკისის ხეობა მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში. ხეობის 12 სოფელი (დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი – ძიბახევი, ხადორი, ომალო, ზემო ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, დუმასტური, ქორეთი, წინუბანი, ყვარელწყალი) ძირითადად ეთნიკური ქისტებით არის დასახლებული. ისინი საუბრობენ ქართულად, ჩეჩნურად და არიან მუსლიმები. 2014 წლის მონაცემებით, პანკისის ხეობის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 10 ათასზე მეტია.

ჩვენ საზოგადოებაში „თემს" უმთავრესად განიხილავენ, როგორც გეოგრაფიულ კატეგორიას, არადა „თემის" გაგება ბევრად ფართოა, ისევე, როგორც ის ინტერესები, რომლის გარშემოც, შესაძლოა გაერთიანდნენ საზოგადოების ცალკეული წევრები. მოცემულ შემთხვევაში თემში ტერიტორიული და ეთნიკური კომპონენტები ერთმანეთს ემთხვევა.

სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით პანკისის ხეობაში არსებული ვითარება მძიმეა. ახალგაზრდები არ არიან ჩართული საზოგადოებრივ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრობლემატური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება. არასაკმარისია ის ღონისძიებები, რომლის მიზანიც არის გააუმჯობესოს და აღძრას ურთიერთნდობის გრძნობა მოსახლეობის უმრავლესობასა და ეთნიკურ უმცირესობას შორის, რითაც მოხდებოდა ქვეყანაში ტოლერანტული და მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშეწყობა.

უმრავლესობას და უმცირესობას შორის ურთიერთგაუცხოებას, თემის მარგინალიზებას ხელს უწყობს მედიაც, უმცირესობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების და სტერეოტიპების გამოვლინებით; უმცირესობასთან დაკავშირებული საკითხების ზედაპირული გაშუქებით; ქართული მედია ეროვნული უმცირესობების საკითხს სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტით იშვიათად აშუქებს. პანკისის ხეობაში მცხოვრებ უმცირესობებს მედია მხოლოდ მაშინ უთმობს ყურადღებას, როდესაც საკითხი ეხება ტერორიზმს, ადგილი აქვს რაიმე სახის კონფლიქტს, კრიმინალს, სკანდალური ამბავს, ან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის ვიზიტს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში.

- **პირველი ნაბიჯები**

სათემო რადიოს აფუძნებს ააიპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი" (CCA), რომელიც მუშაობს პანკისის ხეობაში და 2015 წლის 1–ლი სექტემბრიდან აღმოსავლეთ – დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს ახალგაზრდების ჩართულობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის პროექტს.

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის მიმდინარე პროექტის მიზანი, პანკისის ხეობაში ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობაა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების; რეგიონული და ცენტრალური მედიის მიერ პანკისის ხეობაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის კონტექსტით გაშუქების და ამ პროცესში ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდების ჩართვით; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერით, ახალი ლიდერი ქალების წარმოჩენითა და სტიმულირებით; პანკისის ხეობის სოფლებში საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობისა და კონსულტაციის ფორმატში სატრენინგო პროგრამების ორგანიზებით, რომლებიც უზრუნველყოფს მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებას ძირითად საკვანძო თემებზე; პანკისის ხეობაში ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმართული ახალგაზრდული და სხვა ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერით;

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (სოფლებში მოსახლეობასთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, კვლევა ახალგაზრდების მონაწილეობით) გამოიკვეთა აუცილებელი საჭიროება, შევქმნათ უფრო მძლავრი მექანიზმი (როგორიც არის სათემო რადიო) მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი ჩართულობის, განვითარების, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. ადგილობრივ მოსახლეობას აქვს ინფორმაციის დეფიციტი ხეობაში მიმდინარე პროცესებზეც კი.

პანკისის ხეობაში თემის ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავისი რელიგიური მისწრაფებებით, საზოგადოებრივი ღირებულებებით და სხვა განმასხვავებელი ნიშნებით, თუმცა მთლიანობაში ყველა ერთად ერთ თემს შეადგენს. ჩვენ ორი მიზანი განვსაზღვრეთ:

1. **შესაძლებლობები** – სათემო რადიოში მუშაობის ყველა მსურველს მივცეთ მნიშვნელოვანი საბაზისო პროფესიული ცოდნა; ავუხსნათ მათ, რა არის ჟურნალისტიკა, როგორ კეთდება სიუჟეტები თუ გადაცემები; ხელი შევუწყოთ მათ შემოქმედებით განვითარებაში;

2. **ღირებულებები** – გაგვეგო, რა სურდა თითოეულ მათგანს; ხელი შეგვეწყო მათ შორის დიალოგისთვის და საერთო დისკუსიების მეშვეობით ჩამოგვეყალიბებინა ის ძირითადი ღირებულებები, რომელიც შეკრავდა სათემო რადიოს თანამშრომელთა ჯგუფს და შემდგომ ეს ჯგუფი ამ ღირებულებებს გაუზიარებდა დანარჩენ თემს.

სამოქალაქო აქტივობების ცენტრმა EWMI–ის პროექტის ფარგლებში შეარჩია ხეობაში მცხოვრები 8 ახალგაზრდა, რომლებმაც უკვე გაიარეს მოქალაქე – რეპორტიორების სასწავლო კურსი. სასწავლო კურსს უძღვებოდნენ მოწვეული სპეციალისტები ზვიად ქორიძე, დავით მძინარიშვილი, შოთა გოგიშვილი და კონსტანტინე სტალინსკი. ახალგაზრდებმა შეისწავლეს ახალი ამბების წარმოება, ვიდეოგადაღება, მონტაჟი, ფოტოგრაფია, მულტიმედია პროდუქტის შექმნა და ბლოგინგი: http://activities.ge/ge/detail/news/35/

ამგვარ სასწავლო კურსს, ამერიკული ფონდის (NED) მხარდაჭერით „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“ 2016 წლის იანვარშიც გამართავს და ხეობაში მცხოვრებ 10

ახალგაზრდას მოამზადებს. ამასთან, სათემო რადიოში რეგულარულად მოხდება ახალგაზრდების მოზიდვა, ისინი შეიძენენ ჟურნალისტურ უნარ–ჩვევებს;

„სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ პროექტის ფარგლებში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდები გეგმავენ და ახორციელებენ არა მხოლოდ პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებს, არამედ ისინი ჩართულები არიან CCA–ის მიერ გადაწყვეტილების მიღების ყველა პროცესში. ისინი არჩეულ იქნენ ორგანიზაციის მმართველი ორგანოს – გამგეობის წევრებად.

WAY – სათემო რადიოსთვის ამ სახელის დარქმევა პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების ინიციატივაა. WAY ინგლისურად გზას ნიშნავს, ჩეჩნურად – ჩვენი. გადაწყდა, რომ რადიო იქნება ორენოვანი, სამაუწყებლო ენები იქნება ქართული და ჩეჩნური. ახალი ამბები მომზადდება ორივე ენაზე.

2015 წლის ოქტომბერში სამოქალაქო აქტივობების ცენტრმა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში გრძელვადიანი იჯარით აიღო საოფისე ფართი (90 კვმ), სადაც ამ დროისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს და 2015 წლის დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

- **სათემო რადიოს მნიშვნელოვანი მახასიათებლები**

სათემო რადიო იზიარებს ზოგადად მედიის სამოქმედო სამ უმთავრეს პრინციპს: იგი ავრცელებს ახალ ამბებს, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას და ართობს მომხმარებელს. გარდა ამ სამი პრინციპისა სათემო რადიოს ახასიათებს კიდევ ერთი, მეოთხე პრინციპი – თანამონაწილეობა. სწორედ თემის თითოეული წევრის აქტიურობა, მათი მონაწილეობა სათემო რადიოს საქმიანობაში ზრდის მის მიმართ მთელი თემის ნდობის ხარისხს.

1. თუკი საზოგადოებრივ ან კერძო მაუწყებლობაში აუცილებლად მოიძებნება ჟურნალისტი, რომელიც მენტორულად ესაუბრება მაყურებელს ან მსმენელს და ამით ხაზს უსვამს თავის უპირატესობას, სათემო რადიოში მსმენელს ესაუბრება მისი მეზობელი, ახლობელი ადამიანი, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს თანამოაზრე, მაგრამ გასაგებად და მისაღებად უხსნის ყველაფერს. სათემო რადიოში არ არიან ვარსკვლავები;

2. საერთო ეროვნულ მედიაში, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიაში ადგილობრივ თემს, როგორც წესი, ნეგატიური იმიჯი აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი თემის ცხოვრებით უმეტეს შემთხვევაში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მხოლოდ მაშინ ინტერესდება დედაქალაქის ან რეგიონული ცენტრის ჟურნალისტი, თუ იქ კრიმინალი მოხდა ან ჩვეულებრივი ყოფითი ამბავი სკანდალად იქცა. ამით ადგილობრივი თემის მარგინალიზება ხდება. სათემო რადიო ყოველმხრივ ცდილობს დადებითიც მოყვეს და ეს ნეგატიურიც არ დამალოს. კარგი ამბავიც და ცუდიც – ორივე ახალი ამბავია. სათემო რადიო არ არის დაინტერესებული, რომ თემის წევრებს რაიმე დაუმალოს ან მოატყუოს. და რომც იყოს დაინტერესებული, ვერ დაუმალავს;

3. სათემო რადიოში სამუშაოდ არ მიდიან მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტები. აქ თავიდან მიდიან ადგილობრივი მცხოვრებნი, მოქალაქეები, რომლებიც ინტერესდებიან თემის პრობლემატიკით, ხდებიან სოციალურად აქტიურები და თან პარალელურად იძენენ ჟურნალისტურ უნარ-ჩვევებს. სათემო რადიოს წარმატება „სათემო აქტივისტებშია“.

4. სათემო რადიო მცირებიუჯეტიანია. მას მართავს მცირერიცხოვანი ადმინისტრაციული და სარედაქციო ჯგუფი, ხოლო გადაცემების დიდ ნაწილს ადგილობრივი მაცხოვრებლები მოხალისეობრივ საწყისებზე ამზადებენ. რადიოში შექმნილია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეების უწყვეტად გადამზადებას პროფესიონალების მიერ და აკონტროლებს გადაცემების ხარისხს.

რადგან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნები სათემო რადიოზეც ვრცელდება, რადიო WAY იმუშავებს ზემოაღნიშნული წესების დაცვით; შექმნის მაუწყებელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრულ თვითრეგულირების ეფექტიან მექანიზმს; ასევე, დაიცავს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპებს.

- **სათემო რადიოს მთავარი ფუნქციები**

ადგილობრივი იდენტობის, ხასიათისა და კულტურის წარმოჩენა: სათემო რადიო უმთავრესად პროგრამებში თემის იდენტობასა და ხასიათს წარმოაჩენს. ინფორმაციაც და სხვადასხვა ღონისძიებებიც ადგილობრივი თემის სპეციფიურ ინტერესებს ასახავს. აქცენტი კეთდება სათემო კულტურაზე, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ზოგადად კულტურისაგან. სათემო რადიოში გვხვდება ადგილობრივი მუსიკის, ცეკვის, პოეზიის, თეატრის ნიმუშები. კულტურა არის ენაც. სათემო რადიო მაუწყებლობს თემისთვის მისაღებ ყველა ენაზე. ამით დუღაბდება თემის კულტურული მრავალფეროვნება.

ხმებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება ეთერში: სათემო რადიო ეფუძნება თანამონაწილეობის პრინციპს და იგი ღიაა თემის ყველა სექტორისა და ინდივიდისათვის. სათემო მაუწყებლობა ყველაზე უკეთ ახერხებს განსხვავებული ინტერესების, განსხვავებული ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური საფუძვლის მქონე ჯგუფების დაახლოებასა და ინტეგრაციას.

პროგრამებისა და შინაარსის მრავალფეროვნება: სათემო რადიო წარმოადგენს სხვადასხვა ფორმატისა და სტილის გადაცემებს. მაგალითად: დისკუსიებს მრგვალი მაგიდის გარშემო, რეპორტაჟებს, ინტერვიუს, თოქ-შოუს, მსმენელთა ზარებს, პირდაპირ რეპორტაჟებს სათემო შეხვედრებიდან და ასე შემდეგ. ამ გადაცემების შინაარსიც უმთავრეს შემთხვევაში დეტერმინირებულია თავად თემის ცხოვრების სტილითა და იმ პრობლემებით, რომელიც ამ თემს აწუხებს.

ღია დიალოგისა და დემოკრატიული პროცესის წახალისება: სათემო რადიოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ინტერაქტიული დისკუსიებისთვის დამოუკიდებელი პლატფორმის მომზადება. მსგავსი დისკუსიები განავითარებს თემს და ხელს უწყობს დეცენტრალიზაციის პროცესს. საჯარო დებატი სათემო რადიოში, ერთი მხრივ, აახლოებს ადგილობრივ მთავრობასა და კერძო ინსტიტუტებს, მეორე მხრივ კი აძლიერებს ფორუმს თავად თემის წევრებს შორის.

განვითარებისა და სოციალური ცვლილებების წარმოჩენა: სათემო რადიო მაქსიმალურად უწყობს ხელს შიდა დისკუსიებს. ამ დისკუსიების წყალობით თემის წევრები აკეთებენ თემში მიმდინარე პროცესების ანალიზს და შემდგომ პროაქტიურ ქმედებასაც ახერხებენ. ინფორმირება ეხმარება თემს, რომ მან ღირებულებათა სისტემა შეიქმნას და სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბდეს. დისკუსიების, კითხვა-პასუხის გამოყენებით თემის წევრები ცდილობენ, ადგილობრივი მმართველობის საქმიანობა გამჭვირვალე გახადონ და ლოკალური „მოდარაჯე ძაღლის" როლი შეასრულონ.

- **რადიო WAY–ის აუდიტორია**

სათემო რადიოს აუდიტორია არის პანკისის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობა როგორც მთლიანობაში, ისე მისი ცალკეული ჯგუფები – ახალგაზრდები, ქალები, ფერმერები, მოსწავლეები და ა.შ. ასევე, არასამთავრობო, სამთავრობო და მედია ორგანიზაციები. ვებ გვერდის (www.radioway.ge) მეშვეობით, სადაც ყოველდღიურად განთავსდება ინფორმაცია და განხორციელდება Live Stream, სათემო რადიო კავშირს დაამყარებს მათთან, ვისაც პანკისის ხეობის სიახლეები აინტერესებს.

მაუწყებლობის ბადე

სათემო რადიოს პროგრამირების პოლიტიკა ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია სამაუწყებლო ბადის შემუშავებისას:

- თემის წევრთა თანამონაწილეობა პროგრამებში;
- სათემო სიახლეების პრიორიტეტული გაშუქება;
- ფაქტებისა და მოვლენების ბალანსირებული გაშუქება;
- რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების ასახვა;
- ადგილობრივი არჩევნების გარემოს ჩამოყალიბება დისკუსიების, დებატების, ინტერაქტიული საუბრების გამოყენებით;
- საგანმანთლებლო მაუწყებლობის განვითარება.

სამოქალაქო აქტივობების ცენტრის თანამშრომლებმა სამაუწყებლო ბადის შედგენისას გავითვალისწინეთ როგორც ზემოთ აღწერილი პრინციპები, ისე ადგილობრივი რეალობა.

მაუწყებლობა იწარმოებს ქართულ და ჩეჩნურ (ქისტურ) ენებზე, ახალი ამბები მომზადდება ქართულ და ჩეჩნურ ენებზე. ახალი ამბები 5-დან 10 წუთამდე გაგრძელდება და დღეში რამდენჯერმე გავა ეთერში.

კვირაში რამდენიმე საავტორო გადაცემა მომზადდება, რომელთა ხანგრძლივობა იქნება 15–60 წუთი. საავტორო გადაცემები ეთერში გავა როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეებში. მომზადდება ინგლისური და ჩეჩნური ენის გაკვეთილები.

ეთერში გავა ყველა სახის მუსიკა, ადგილობრივიც და უცხოურიც, თანამედროვეც და კლასიკაც. ეთერში გავა ფოლკლორული მუსიკის ნიმუშებიც, მათ შორის ადგილობრივი მუსიკოსებისა და მომღერლების შესრულებით, რომელთაც ჩაწერს რადიო WAY. სათემო რადიო ეთერში მუსიკას გადასცემს კანონის სრული დაცვით.

რადიო WAY აქტიურად გამოიყენებს ვებ-გვერდს, საიდანაც ხელმისაწვდომი იქნება გადაცემების არქივი და ტექსტური ინფორმაცია.

ინტერაქტიულობა და თემთან უკუკავშირი სათემო რადიოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ მიზანს ის აღწევს როგორც ეთერში სატელეფონო ზარების, თემის წევრებთან პირისპირ შეხვედრების, ისე ვებ გვერდის და სოციალური მედიის ინსტრუმენტების დახმარებით.

<u>მაუწყებლობის ბადე დანართის სახით</u>

2011 წლიდან დღემდე სამოქალაქო აქტივობების ცენტრმა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომელთა მიზანი იყო უმცირესობების უფლებების დაცვა, ჩართულობის, გენდერული თანასწორობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. ახალგაზრდების სამოქალაქო განათლება კი არის სამოქალაქო აქტივობების ცენტრის და იქნება რადიო WAY–ის განსაკუთრებული ინტერესის საგანი.

სამაუწყებლო ლიცენზიის მიღების შემთხვევაში „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“ განახორციელებს სათემო რადიომაუწყებლობას ზემოთ აღწერილი კონცეფციის და პრინციპების სრული დაცვით და თავის წვლილს შეიტანს საქართველოში ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის, დემოკრატიზაციის და დეცენტრალიზაციის პროცესის გაღრმავებაში.

- **სათემო რადიოს დაფინანსების წყაროები**

სათემო რადიოს ფლობს და აკონტროლებს არამომგებიანი ორგანიზაცია. თავად სათემო რადიოს საქმიანობაც არამომგებიანია. მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს:

- გრანტი;

- კომერციული რეკლამა, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული;

- სპონსორობა, ასევე ეროვნული კანონმდებლობით რეგლამენტირებული;

- პირადი შემოწირულობები, რომელსაც თემის წევრები ლეგალურად გაიღებენ სათემო რადიოს განვითარებისთვის;

- თემის წევრების საწევრო გადასახადი.

დაფინანსების ასეთი სისტემის არსებობა და გამჭვირვალობა გამორიცხავს, რომ სათემო რადიო აღმოჩნდეს როგორც ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა კომერციული სტრუქტურის ან პარტიული ორგანიზაციების, სხვა ჯგუფების ზეგავლენის ქვეშ.

თუ რადიო WAY სამაუწყებლო ლიცენზიას მიიღებს, ის დონორებისგან მეტი ყურადღებისა და მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებს. გარდა ამისა, ის შეძლებს უფრო აქტიურად ჩაერთოს ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელურ პროექტებში და თავისი წვლილი შეიტანოს ისეთი საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში, რაც ეხება საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდას, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციას და მსგავს საკითხებს.

მნიშვნელოვანია, რომ რადიო WAY-ის უკვე აქვს კარგი სამუშაო გარემო და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით 2016 წლის იანვარში ექნება რადიო გადაცემების წარმოებისთვის საჭირო რადიო საეთერო, აუდიო ჩამწერი და კომპიუტერული აღჭურვილობა და ვებ გვერდი. მას მხოლოდ გადამცემის შეძენა და საქართველოს ეროვნული კოუნიკაციების კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით მისი დამონტაჟება დასჭირდება.

რადიო WAY–ის ჰყავს გამოცდილი და ენერგიული მენეჯერი (პანკისის ხეობის მკვიდრი), რომელსაც დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ჟურნალისტური მიმართულება, აქვს პრაქტიკული მუშაობის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამავე დროს, სამოქალაქო აქტივობების ცენტრის პროექტების მენეჯერს აქვს დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, არის პანკისის ხეობაში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ავტორი და დირექტორი.

სათემო რადიოს ჰყავს კარგი გუნდი (გაწვრთნილი მოქალაქე – რეპორტიორები) და ტექნიკური პერსონალი, რომელიც კარგად ერკვევა კომპიუტერულ და რადიოტექნიკაში. ისინი არიან პანკისის ხეობის მაცხოვრებლები.

ı WAY – მაუწყებლობის ბადე

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
9:00	დილის პროგრამა	დილის პროგრამა	დილის პროგრამა	დილის პროგრამა	დილის პროგრამა		
0:00	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	დილის პროგრამა	
1:00	რადიო „თავისუფლება“/დილის საუბრები	რადიო „თავისუფლება“/დილის საუბრები	რადიო „თავისუფლება“/დილის საუბრები	რადიო „თავისუფლება“/დილის საუბრები	რადიო „თავისუფლება“/დილის საუბრები		
2:00	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა
3:00	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა NEWS ხალხური შემოქმედება	საინფორმაციო პროგრამა – NEWS ; პანკისის ბილიკებით
4:00	გადაცემა – ჩემი უფლებები	გადაცემა – ექიმის რჩევები	გადაცემა – ფერმერის საათი	გადაცემა – პროგრამა ქალებისთვის	ახალგაზრდების გადაცემა	Sport მუსიკა	Sport მუსიკა
4:30	Sport	Sport	Sport	Sport	Sport	ცოცხალი ისტორიები	ერთი სიმღერის ისტორია
5:00	ვისწავლოთ ინგლისური	ვისწავლოთ ინგლისური	ვისწავლოთ ინგლისური	ვისწავლოთ ინგლისური	ვისწავლოთ ინგლისური		
6:00	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	ჩეჩნურის გაკვეთილები	ჩეჩნურის გაკვეთილები
7:00	გადაცემა – საცნობარო საათი	გადაცემა – ხელისუფლების საათი	აქტუალური თოქ-შოუ	გადაცემა – მებაღე	გადაცემა – „ჰაიტეკი“	მუსიკა	მუსიკა
8:00	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	მუსიკა	გადაცემის გამეორება	გადაცემის გამეორება
9:00	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News	საინფორმაციო პროგრამა – News
20:00	გადაცემა – დღის თემა	გადაცემა – დღის თემა	გადაცემა – დღის თემა	გადაცემა – დღის თემა	გადაცემა – დღის თემა	მუსიკა	მუსიკა
22:00	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით	მუსიკა თქვენი თხოვნით

	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)	(ზარები/SMS/Facebook)
23:00	გადაცემის გამეორება	გადაცემის გამეორება	გადაცემის გამეორება	გადაცემის გამეორება	აქტუალური თოქ-შოუ – განმეორებით	გადაცემა – გამეორება	გადაცემის გამეორება
24:00	Эхо Кавказа	Эхо Кавказа	Эхо Кавказа	Эхо Кавказа	Эхо Кавказа	Эхо Кавказа	Эхо Кавказа
01:00	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის	მუსიკა ძილისთვის

ის პროგრამა მოიცავს:

05 – პროგრამის გახსნა: დრო, ამინდი, ვალუტის კურსი, ანონსები;

30 – მუსიკა;

35 – შუალედური მენიუ: დრო, ამინდი, ვალუტის კურსი; ანონსები;

00 – მუსიკა;

15 – ახალი ამბების გამოშვება ქართულ ენაზე; დღის თემის წარდგენა;

30 – ამინდი, ვალუტის კურსი, ბაზრის ფასები; მუსიკა;

35 – ახალი ამბების გამოშვება ჩეჩნურ ენაზე;

40 – ჰოროსკოპი;

00 – მუსიკა;

05 – ახალი ამბების გამოშვება ქართულ ენაზე;

10 – პრესის მიმოხილვა;

0:00 – მუსიკა;